ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

**ვამტკიცებ**
რექტორი

მ.ბატიაშვილი
24.06.2016

# P-3.2016.G

## ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები

თბილისი
2016

## 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე დოკუმენტი ადგენს "ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" (შემდგომში - "უნივერსიტეტი") ბიბლიოთეკით სარგებლობის სწესს.

ბიბლიოთეკა (შემდგომში- ბიბლიოთეკა) მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 19:00 საათამდე და შაბათს 10:00-დან 16:00 საათამდე. დასვენების დღე - კვირა.

## 2. საერთო წესები

ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს, პროფესორსა და თანამშრომელს. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ ასევე პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს.

ბიბლიოთეკის ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი შეესაბამება სასწავლო კურსების პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. ლიტერატურის ელექტრონული საძიებელი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

ბიბლიოთეკის მომხმარებელზე იქმნება მკითხველის ბარათი.

მკითხველის ბარათში ასახულ ინფორმაციას ხელმოწერით ადასტურებს ბიბლიოთეკარი და მკითხველი.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები სავალდებულოა მისი ყველა მომხმარებლისთვის.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების დარღვევის შემთხვევაში მომხმარებლის მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული ზომები.

სამკითხველო დარბაზებში დაცული მასალის ასლის გადაღება დასაშვებია მხოლოდ ბიბლიოთეკარის თანხმობით.

## 3. მკითხველის უფლებები:

1. ისარგებლოს ბიბლიოთეკის საძიებო საშუალებებით.
2. ელექტრონული ბაზებით.
3. ისარგებლოს ბიბლიოთეკის კომპიუტერული მომსახურეობის დარბაზებით.
4. მიიღოს ინფორმაცია ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ.
5. გამოთქვას და გამოხატოს თავისი აზრი, შეხედულება, ინტერესები, სურვილები ბიბლიოთეკის საქმიანობის და ხარისხის შესახებ.

## 4. **მკითხველი ვალდებულია:**

გაუფრთხილდეს საბიბლიოთეკო ინვენტარს (მათ შორის ელექტრონულს) და საბიბლიოთეკო ფონდს.

დააბრუნოს გატანილი ლიტერატურა დროულად

მკითხველი ვალდებულია მისთვის გაცემულ საბიბლიოთეკო ერთეულზე დეფექტის აღმოჩენის ფაქტი დაუყოვნებლად აცნობოს ბიბლიოთეკარს

საბიბლიოთეკო ერთეულის დაკარგვის შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია დააბრუნოს იმავე დასახელებისა და გამოცემის წლის შესაბამისი, ან სანაცვლოდ იმავე დასახელების სხვა გამოცემის წლის ერთეული, ან გადაიხადოს წიგნის ღირებულება და ჯარიმის სახით, ფიქსირებული თანხა 20 ლარის ოდენობით. იგივე წესი ვრცელდება უცხოენოვანი ლიტერატურის დაკარგვის შემთხვევაში

საბიბლიოთეკო ერთეულის ერთი ეგზემპლარის არსებობის შემთხვევაში, იგი მკითხველს ხელზე არ მიეცემა; ასეთით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ სამკითხველო დარბაზებში

მკითხველის ძიერ წიგნით სარგებლობის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ვადის გაგრძელება, რაც აღინიშნება მკითხველის ბარათში

ბიბლიოთეკაში გაწევრიანებისათვის სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

სამკითხველო დარბაზში დაუშვებელია თამბაქოს მოწევა, ხმამაღალი საუბარი, მობილური ტელეფონის გამოყენება. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბიბლიოთეკარს უფლება აქვს, მოითხოვოს სამკითხველო დარბაზის დატოვება.